მდინარე გუბაზეულის ჩამონადენის გამოყენების პერსპექტივები

ჯიმი კორტი

ელ-ფოსტა: jimi.korti103@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

თანამედროვე კლიმატური ტენდენციები განაპირობებს წყლის რესურსების არათანაბარ განაწილებას სეზონებს შორის, ამიტომ მნიშვნელოვანია შეფასდეს მდინარეთა ჩამონადენი რათა აუზის დონეზე მოხდეს მომხმარებლებს შორის წყლის ეფექტური გადანაწილება, რაც ასევე წარმოადგენს აუზური მართვის საფუძველს და მდინარეთა აუზებში წყლის რესურსების გამოყენების სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებელ ეტაპს.

წყლის რესურსების ეფექტური მართვისათვის შეფასებული გვაქვს მდინარე გუბაზეულის ჰიდროლოგიური რეჟიმი. კერძოდ, განხილულია საშუალო წლიური ხარჯები, ჩამონადენის შიდაწლიური განაწილება, მაქსიმალური და მინიმალური ხარჯები, მყარი ნატანი და სხვა. ასევე წყლის რაოდენობრივ მახასიათებლებზე ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების ზეგავლენის მასშტაბები. წყლის რესურსები შეფასებულია ცალკეული ქვეაუზებისათვის და გაანგარიშებულია წყალმოხმარების სხვდასხვა სექტორისათვის (მოსახლეობა, ირიგაცია, ენერგეტიკა) წყლის რაოდენობრივი მახასიათებლები. ამგვარი მიდგომა წარმოადგენს შესაძლებლობას შეფასდეს მდინარის წყლის რესურსები და ოპტიმალურად მოხდეს მისი გადანაწილება წყალსამეურნეო კომპლექსის მონაწილეებს შორის.